№ 36

1877—1899

ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 36

ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 თებერვალს,

ქართულის დრ. დასისაგან ქ-ნ ნ. პ. რჩეულისა და ბ-ნ დ. მესხის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

პირველად

I

## სიკოლა ლენრიკი

სამ მოქმედებიანი კომედია გადმ. რუს. დ. მესხის მიერ.

II

## ნება მიბოძეთ ბატონო

კომედ. 2 მოქმედ. გადმოკ. კერესელიძის მიერ

არუთინა კარაპეტოვის როლს ასრულებს ვ. აბაშიძე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

შემდეგის წარმოდგენისათვის დანიშნულია ბენეფისი ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა.

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-სამკერვალო

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიათ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

Y. YERMOREL

constructeur Villefranche (Rhone) ვაზის შესასხურებელი მანქანა „ეკლერ“ და გოგირდის შესაყრელი მანქანა „ტორპილი“. (10—8)

## შაბიამანი

**macclesfield**

ერთად-ერთი წარმომადგენელი მთელის რუსეთისა და კავკასიისა. მ. ფრიდონოვი. ტფილისში.

## საჭიროა ნოქარი

გამოცდილი და კარგი მცოდნე გასტრონომიულისა და საბაკალეო ვაჭრობისა.

ადრესი: „შუამთვალი“, კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. მუხრან-ბატონისა. (5—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ხავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ ჩაქოგანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

ნოტარიუსის

## ლევან მღებროვის

## კანტორა

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—6.—14)


## მთავრობის განკარგულებანი

—

გადაყვანილ იქმნენ: ახალციხის სამაზრო ხაზინის ბუხჰალტერი თავ. კასიღ თაქთაქიშვილი და ონის სამაზრო ხაზინის ბუხჰალტერი ვლადიმირ კორინთელი, ასეთსავე თანამდებობებზედ პირველი—გორის ხაზინაში, მეორე—ახალციხის ხაზინაში.

გამწესებულ იქმნა აზნ. ზაქარია ჯავახიშვილი—ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილის-ყარსის ნაწილის ფასტალიონად.

## ახალი ამბავი

—

⁂ 18 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, მასწავლებელ ქალთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების სადგომში კრება ექმნებათ წევრებს-დამაარსებელთ ტფილისში განზრახულ „დედათა უმაღლეს კურსების შეუძლებელ მოსწავლე ქალთა დამხმარებელ საზოგადოებისა“. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების წესდების პროექტი.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრმა ბ-ნმა სააკოვმა გუშინ, 16 თებერვალს, წარუდგინა საზოგადოების საბჭოს თვისი მოხსენება კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. ამ მოხსენებას ჯერ საზოგადოების საბჭო განიხილავს და შემდეგ, როგორც ამბობენ, თვით საზოგადოება განიხილავს 24 თებერვალსა.

⁂ 15 თებერვალს ტფილისის ქალაქის საბჭომ მთელი საღამო მოანდომა ტფილისის ვიცე გუბერნატორის წინადადების განხილვას იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობას სახელმწიფო გარდასახადი დროზედ არ შეაქვს ხაზინაში, რითაც კანონი ირღვევა, და ეს ბოროტმოქმედება თავიდგან აცილებულ იქმნასო.

ქალაქის გამგეობას ცნობები შეუკრებია, და საბუჰგალტრო წიგნებიდგან აღმოჩენილა, რომ ხაზინაში გასაგზავნი ფული მართლაც ხშირად რჩებოდა ქალაქის კასაში რამდენისამე დღეობით და კვირაობითაც. მაგრამ, როგორც გამგეობა ამტკიცებს, განგებ როდი აგვიანებდა იგი ამ ფულების გაგზავნას, არამედ მოუცლელობით მოსდიოდა ეს. მომეტებულ ნაწილად სექტემბერსა და ოქტომბერში გვიანდებოდა ფულის გაგზავნა ხაზინაში, ე. ი. იმ დროს, როცა გამგეობას აუარებელი საქმე აქვს, და სწორედ ეს იყო მიზეზი კანონის დარღვევისა. უკანასკნელს კრებაზედ გამგეობას დაუდგენია უფროსმა—ბუჰგალტერმა მიიღოს ყოველივე ღონისძიება, რომ შემდეგში უთუოდ თავისს დროზედ იგზავნებოდეს სახელმწიფო ფულები ხაზინაში, და ამ დადგენილებისათვის თვალ-ყურის გდება მიუნდვია გამგეობის ერთის წევრისთვის, რომელიც განაგებს კასასა და საბუჰგალტრო განყოფილებას.

საბჭომ, მოისმინა-რა საქმის ყოველივე გარემოება, ხანგრძლივის კამათის შემდეგ დაადგინა: დაევალოს გამგეობას,—ვიცე გუბერნატორის წინადადება შესრულებულ იქმნას და ამ რიგად შემდეგში აღარ ირღვეოდეს კანონი; ამასთანავე დაავალა ქალაქის მოურავს, სთხოვოს ტფილისის გუბერნიის მმართველს—იშუამდგომლოს კავკასიის მთავარმართებლის, თავ. გოლიცინის წინაშე, რომ ქალაქის საბჭოს ემცნოს ყველაფერი, რაც-კი აღმოაჩინა ქალაქის თვითმართველობის საქმეთა რევიზიამ.

⁂ კვირას, 14 თებერვალს, კრება ჰქონდათ საზოგადო კურსების დამაარსებელთ. როგორც ამ კრებაზედ წაკითხულ ანგარიშიდგანა სჩანს, კურსებზედ სულ 387 კაცი ჩაწერილა. სხვათა შორის ამ კრებამ შეიწყნარა კურსებზედ მოსიარულეთა თხოვნა იმის შესახებ, რომ მოსიარულენი დარბაზში შეუშვან ლექციის დაწყებამდე 5 წუთით ადრე კი არა, როგორც აქამდის იყო, არამედ 15 წუთით ადრე. რადგანაც ხშირად ადგილების გამო დარბაზში არეულობაა ხოლმე, კრებამ დაადგინა გამოუცხადოს კურსებზედ მოსიარულეთ, რომ პირველი ოთხ რიგის ადგილები მხოლოდ დედაკაცებს შეუძლიანთ დაიჭირონ, დანარჩენი-კი მამაკაცებს. რადგანაც შესაძლებელია, რომ რაიმე მიზეზის გამო ლექციის მკითხველნი ზოგჯერ ვერ გამოცხადდენ, ამიტომ კრებამ დაადგინა მოიწვიოს და იყოლიოს ასეთ შემთხვევებში სხვა ლექტორებიც. უკვე განაცხადეს სურვილი ლექციების წაკითხვისა: ფიზიკისა—მ. დ. ელჩუკოვმა, ქიმიისა — ვ. ი. კალუშევსკიმ, ალგებრისა და გეომეტრიისა—ს. ს. ესაძემ, სიტყვიერებისა—შულგინმა.

⁂ რუსეთის ფოსტა არც გუშინ, 16 თებერვალს, მოსულა ტფილისში.

⁂ რედაქციამ მიიღო „შემოსავალ-გასავლის ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასწავლებლისა ბათუმში, 1893 წლიდგან მოკიდებული ამა 1899 წლის 1 იანვრამდის, შედგენილი ხსენებულ სასწავლებლის კომიტეტის მიერ“. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, ეს სასწავლებელი დაარსებულ იქმნა „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ 1881 წ. 1881 წლიდგან 1895 წლამდე სკოლა მოთავსებული ყოფილა დაქირავებულს შენობაში. 1893 წელს, შემდგარ იქმნა ბათუმში ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტი, რომელსაც დაევალა როგორც საკუთარის შენობის აგება, აგრეთვე ის, რომ ეზრუნა საზოგადოდ სასწავლებლის წარმატებისათვის. კომიტეტის წევრებად ყოფილან: გრ. ვოლსკი, მ. ბეთანიშვილი, ექვ. ბერძენიშვილი, ივ. მესხი, და გრ. ელიავა. კომიტეტის მეცადინეობით ბათუმის ქალაქის თვითმმართველობას დაუთმია „წერა-კით. საზოგადოებისთვის“ სასწავლებლის შენობის ასაგებად მიწის ნაჭერი ზომით 400 ოთხ-კუთხი საჟენი. შემდეგ კომიტეტი შესდგომია ფულის მოგროვებას. ამ აზრით გაუმართავს ლატარია ალლეგრიები, საღამოები, კონცერტები, წარმოდგენები და სხვა. 1893 წლის 20 იანვრიდგან 1894 წლის 10 მარტამდე კომიტეტს შეუკრებია 6352 მანეთი და 10-სავე მარტს შესდგომია შენობის აგებას. შენობას აგება დაუსრულებია ერთის წლის განმავლობაში. ახალი შენობა 1895 წლის 15 ოქტომბერს უკურთხებია ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსს გრიგოლს. 1893 წლიდგან 1899 წლის 1 იანვრამდე კომიტეტს შემოსავალი ჰქონია სულ 22,454 მანეთი 68 კაპ. და ამდენივე გასავალი. ბოლოში ანგარიშს ჩართული აქვს სია იმათი, ვისაც ბათუმის სკოლისათვის ფული შეუწირავს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა ქალაქის ბოქაულებს გადაათვალიერონ და შეამოწმონ ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი იმ ყმაწვილ კაცთა სიები, რომელნიც წელს სამხედრო ბეგარის გადასახდელად იქმნებიან გაწვეულნი და ორის დღის შემდეგ ეს სიები გაუგზავნონ ქალაქის სამხედრო საკრებულოს.

⁂ ლეჩხუმის მაზრის შარშანდელ მოუსავლობით დაზარალებულ ზოგიერთ გლეხს შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მათ სესხად მიეცეთ ფული როგორც გამოსაკვებად საჭირო სულადის საყიდათ, აგრეთვე თესლის შესაძენად.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის და საბჭოს წევრების არჩევანები, როგორც „ტფ. ფურ.“-ი იუწყება, მოხდება მარტში.

⁂ „კავკ.“-ს სწერენ სოხუმიდგან, რომ ადგილობრივი სატუსაღო მეტად ცუდ მდგომარეობაშია. სატუსაღო 30 კაცისთვის არის, მაგრამ ამის მიუხედავად იქ 90 კაცამდეა. ამას გარდა სატუსაღოს უსუფთაოდ ინახამენ, რის გამოც ტუსაღნი ხშირად ავად ხდებიან. შარშან, მაგალითად, შავმა სახადმა რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ ზაქათალიდგან, რომ ამ დღეებში აქ მოიტანეს 800 კოლოფი აბრეშუმის ჭი-

ის თესლი. ეს თესლი გამოიწერეს ვაჭარმა სომხებმა როგორც თვით ზაქათალაში, აგრეთვე ზაქათალის ოლქის სოფლებში დასარიგებლად. ვაჭრები ამ თესლს ურიგებენ სოფლელებს და ამაში ართმევენ მათ მოყვანილ პარკის ნახევარს ან მეოთხედს. ასეთის ვაჭრობით სომხები ძალიან ბევრს იგებენ. ერთ კოლოფ გაცემულ თესლში, რომელიც 1 მაN. 70 კაპ. ჰღირს, ვაჭარი იღებს 9 მანეთის პარკს.

*** „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, ის კომისია, რომელსაც მიწერილი აქვს ეტნოგრაფიის და შინა მრეწველობის შესახების ექსპონატების მოკრება პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ გასაგზავნად, ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებასაო. როგორც ვუწყით, ამ კომისიის თავმჯდომარედ არის კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. სულთან-კრიმ გირეი.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ი. ა. მედვედევის თავმჯდომარეობით უნდა შესდგეს კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტი. როგორც ადგილობრივი რუსული გაზეთები იუწყებიან, ამ დღეებში მოხდება მოლაპარაკება განზრახულ კომიტეტის პროექტის შესამუშავებლად და აგრეთვე კომიტეტის მოქმედების პროგრამის და იმის ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

*** გაზ. „კავკ.“-ს სწერენ, რომ ამას წინად დუშეთის მაზრაში, სამხედრო საქართველოს გზაზედ ზვავმა ქვეშ მოიტანა სოფ. ფშანის მცხოვრებნი შიო და დათიკო სამკანოკები, რომელნიც ურმებით მოდიოდნენო. იმათთან ერთად დაიღუპა ოთხი ცხენიც.

*** ხიდისთავის სოფლის საზოგადოებამ ტფილისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გაფართოებულ და შეკეთებულ იქმნას სოფ. ხიდისთავში მიმავალი გზა.

*** გაზ. „კავ.“-ს სწერენ ზემონიქოზიდგან, რომ ამ ბოლოს დროს ჩვენკენ ძალიან გახშირდა ქურდობაო. ორის თვის განმავლობაში გაჰქურდეს ექვს კომლამდე მცხოვრებლი. 8 ამ თვეს გაჰქურდეს სოსო გოგინაშვილის სახლი და წაიღეს ყველაფერი, რაც-კი იქა ჰნახეს.

*** როგორც იუწყებიან, ბორჩალოს მაზრის სოფ. კიოსნეთსა და ანაურთში ცხვარს ყვავილი გასჩენია.

*** „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, რამდენსამე ტფილისელს აზრადა აქვთ გამართონ ტფილისში სამაგალითო საზოგადო სამრეცხაო, როგორიც ევროპის დიდს ქალაქებში არსებობს.

*** ქ. ტფილისის პირველ ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ, განიხილა რა საქმე გაჭრის პირუმოვისა, რომელსაც ერთის ნაცვლად მარგარინის გაუყიდა ჰნრალდებოდა, დამნაშავედ სცნო იგი და მიუსაჯა ორის კვირით დაპატიმრება.

*** რკინის გზის ტუაზულის შტოზედ, სადგ. სერნაი-კოდის მახლობლად მატარებლიდგან გადმოვარდა ქუთაისის მაზრის მცხოვრები, გაზრიელ გაგელიძე და დაშავდა. მატარებლის თვლებმა გაგელიძეს ორივე ხელი მოსწყვიტა. დაშავებული ქუთაისში გაჰგზავნეს.

*** 13 თებერვალს, ნაშუადღევის სამ საათზედ, ტფილისში, მატარებლის № 74 ვაგონის შემდეგ ლიანდაგზედ ჰნახეს ქ. ტფილისის მცხოვრები ანტონ გიორგის ძე ახალკაცი; რომელსაც ხელი და ფეხი მოჭრილი ჰქონდა. დაშავებული რკინის გზის ლაზარეთში გაჰგზავნეს.

## წერილი ზუგდიდიდგან

31 იანვარს, აკურთხეს ზუგდიდში ვ. გეთიას მიერ დაარსებული სართავ-საქსოვი სკოლა-სახელოსნო. კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, როგორც ქალაქელები, აგრეთვე სოფლელებიც. კურთხევის შემდეგ მღვდელმა მამა ანდრია ვახანიამ შემთხვევის შესაფერი გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და ნათლად დაუხატა მსმენელთ, თუ რა სასარგებლო და დიდ მნიშვნელოვანია ჩვენის ეკონომიურად მეტად დაცემული ქვეყნისათვის ისეთის კეთილის და მისაბაძის საქმის დაწყება, როგორიც არის სართავ-საქსოვი სკოლა-სახელოსნო.

შემდეგ წაკითხულ იქმნა სახელოსნო წესდება, რომლიდგანაც სჩანს, რომ შედგა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს გავრცელება ხალხში სართავ-საქსოვ-სავაჭრო-სამრეწველო და ბევრი სხვა საჭირო ცოდნისა; ადგილობრივ ნაწარმოების გასაღება, მეაბრეშუმეობის საუკეთესო ნიადაგზედ დაყენება; მეტოქეობის გაწევა უცხო ქვეყნებიდგან გადმოსულ ჩარჩ-მევახშეებთან, რომელნიც უვიცს ხალხს ატყუებენ და მას წურბელასავით სწოვენ და სხვ.

წესდება ყველასაგან დიდის აღტაცებით იქმნა მიღებული და იქავე ას ორმოცამდე კაცი ჩაეწერა წევრად. საწევრო გარდასახადი თუმანია და, მაშასადამე, ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.

ზემოხსენებულ ამხანაგობის სასარგებლოდ ბ-ნ ვ. გეთიას თაოსნობით 7 თებერვალს ქართული წარმოდგენა იქმნა გამართული. წარმოადგინეს გ. ერისთავის კომედიები „ძუნწი“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

დიდს სამადლო საქმეს იქმოდნენ ჩვენი სცენის მოყვარენი, რომ მათ-და სასახელოდ, ზუგდიდის ღარიბ უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ გამართავდნენ წარმოდგენას. საჭიროა, დროზედ, მივეშველოთ სამკითხველოს თორემ ლამის მან შეუმჩნევლად სული დალიოს. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ტრიფონ თოხაძე, სამკითხველოს გამგე, რომელმაც წრეულს თავისის ხარჯით რამდენიმე გაზეთი გამოუწერა სამკითხველოს და მუქთად ჰშრომობს მისდა საკეთილ-დღეოდ.

აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო ამბავი: ჩვენს დაბასა და მდ. ჩხოუშის შორის მხოლოდ ერთი საცალო გზაა. ეს გზა ისე გაფუჭებულია, რომ მგზავრებს დიდს ტანჯვა-წვალებას აყენებს. ამიტომ „ჯოჯოხეთის გზა“ უწოდეს. ხშირად მინახავს სოფლის დედა-კაცები მუხლამდე ტალახში ჩაფლულნი და თავის ბედის მაწყევარნი. ეტლების ყირამალა დაბრუნება და მგზავრების დაშავება ხომ ამ გზაზედ ხშირია!.

მ. ვერმიშანაშვილი

## წერილი თიანეთიდგან.

(ორიოდე სიტყვა აქაურ ვაჭრების შესახებ).

ამ 7—8 წლის წინად, როგორც მახსოვს, თიანეთის საზოგადოების მამასახლისად იყო აწ განსვენებული ზაქარია ახალკაცი, რომელიც კრებაში უდგა გაიძვერა ვაჭრებს და შესამჩნევადაც ჰყავდა ალაგმული. ყველა ვაჭრისაგან ხელწერილი ჰქონდა, რომ კარგის ღირსების სავაჭრო დაეწყოთ დუქანში და პირიანადაც გაეყიდნათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჯარიმად იხდიდნენ ხუთ თუმანს სოფლის სასარგებლოდ. იმისავე მეცადინეობით თიანელები ახდევინებენ დღესაც მედუქნეებს ყოველ წლივ ოციდგან—ოცდახუთ თუმნამდე. იმის სიკვდილის შემდეგ-კი აქაურმა ვაჭრებმა უწინდებურად დაიწყეს ალებ-მიცემობა, რადგან ახალი-კაცსავით სასტიკი მეთვალ-ყურე არავინ ეგულებოდათ. ამის გამო იქამდე წათამამდნენ თიანელი ვაჭრები, რომ არ აკმარეს ხალხს დაბალის ღირსების ღვინის—მაღალ ფასად გაყიდვა და საწყაოსაც-კი მოუკლეს. ამისთანა თავ-გასულობა შეუტყო ადგილობრივმა მაზრის უფროსმა და შესაფერად დასაჯა. აი, ვითარება ამ საქმისა:

ერთმა თიანელმა გლეხმა, ა. ჯიმშიტაშვილმა, იანვრის უკანასკნელ რიცხვებში, ტერ-სარქისიანცის დუქანში ერთი ჩარექა ღვინო იყიდა. საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო აქვე, რომ ეს ვაჟბატონი სინიდისიერ კაცად არის ცნობილი თიანელ ვაჭართა შორის. როდესაც მიიტანა ეს ღვინო გლეხმა შინ, დარწმუნდა, რომ ჩარექაზედ ნაკლები იყო.

უფრო კარგად რომ დარწმუნებულიყო და ეჭვი აღარ ჰქონოდა, გლეხი მეორე დილით წავიდა იმავე დუქანში და დაბეჭდილი ჩარექით გამოწყო ის თიხის ჩარექა, რომლითაც მას მიჰყიდეს ღვინო. აღმოჩნდა, რომ თიხის ჩარექა მართლაც ნაკლები იყო ერთი ჩაის სტაქნით. ამ შემთხვევამ გლეხსა და მედუქნეს შორის დიდი ჩხუბი გამოიწვია, რის შემდეგაც გლეხმა ყოველივე დაწვრილებით აცნობა მაზრის უფროსს. მაზრის უფროსმა სასტიკი განკარგულება მოახდინა—ნამდვილად გაეგო პოლიციას, მართალი იყო ეს საჩივარი თუ არა, და თუ მართალი აღმოჩნდებოდა, ნაკლები საწყაოები მოესპო. 1 თებერვალს პოლიციის მოხელე ა. გოჯიაშვილი წავიდა დუქნებში და ცხადად დარწმუნდა, რომ გლეხის საჩივარი საბუთიანი იყო: რაც კი თიხის საწყაოები ჰქონდათ მედუქნეებს, ყველა პატარები გამოდგა ნამდვილ საწყაოზედ. ასე წარმოიდგინეთ, სპილენძის საწყაოებიც-კი იპოვნეს ნაკლებები. მაზრის უფროსის განკარგულების თანხმად ა. გოჯიაშვილმა რაც თიხის საწყაოები უპოვნა, სულ დაამტვრია, ხოლო სპილენძისა კი ჩამოართვა. ზოგიერთებმა მოასწრეს ჭურჭლების დამალვა და ორ-ორი-ღა გამოაჩინეს.

დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი მაზრის უფროსი ამ ნაირის განკარგულებისათვის. იმედი გვაქვს, შემდეგში თვალ ყურს დაიჭერს ამ გაიძვერა და შეუპოვარ სისხლის მწოვრებზედ და ყოველის უკანონო საქციელისთვის შესაფერად დასჯის, მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ: რა გამოვა ყოველივე ამისაგან; აქაურ მედუქნეების ოხტში ვერავინ ვერ მოვა; შეიძლება საწყაოები სწორედ ჰქონდეთ, მაგრამ სამაგიეროდ ღვინის ფასად ივრის წყალი შემოგვატყუონ.

ივრისპირელი

# ფელეტონი

## წმინდა ადგილი.

(სვეტიცხოვლის განახლების გამო).

I

მეფობა იყო ლუარსაბ I ისა (1534—1558 წ.) და კათალიკოზობა გერმანესი, რომელიც საპატრიარქო საჭეთ მპყრობელად შეიქმნა გადაყენებულ კათალიკოზის მელქისედეკის შემდეგ. ეს მელქისედეკი იყო ძმა დავით მეფისა (1505—1525 წ.) და იგი „პირველადვე განძევებულ იყო და იდგა მონასტერსა არმაზისასა.“ მალე მისი ძმებიც გიორგი და ბაგრატ აგრეთვე მონაზონ იქმნენ. გიორგის ეწოდა გერასიმე და ბაგრატს ბარნამე. სიკვდილის წინად გამონაზონდა თვით დავით მეფეც და ეწოდა დამიანე (ქ. ცხ., გვ. 270—271).

სამეფო ტახტიცა და საკათალიკოზო საჭეც რომ ასე ირყეოდა, გაყაენდა შაჰ-ისმაილი. იგი დიდის ჯარით წარმოვიდა და დადგა ალჯაყალას. ლუარსაბ მეფემ გაამაგრა ტფილისი. ყაენმა წარმოგზავნა დიდის ჯარით პირველად სპასალარი ყარაფილ, მერე მიშკარბაში ელიას ბეგ და შემდეგ თითონაც გამოილაშქრა. ყარაფილს მეფე დაუხვდა თელეთს, შემუსრა მისი ძალა და უკუ აქცია მტერი. გაქცეულთ შემოხვდა ელისბეგი, უკანვე გამოაბრუნა და შემოება მეფეს. ქართველთ კვლავ გაიმარჯვეს. მტერნი გაიქცნენ. გამარჯვებულნი გამოეკიდნენ. ამასობაში ყაენი ტაბახმელას გადმომდგარიყო და გაფიცხებულ ქართველებს ზურგის მხრით მოექცა. შეიბნენ ძლიერად. ლუარსაბ დამარცხდა და ზემო ქართლს გაიქცა. ყაენი მოადგა ტფილისს და მისს ციხეს დაუწყო ბრძოლა. ციხის თავი მოისყიდა და აიღო ქალაქიცა და ციხეც. ბოროტმა ყაენმა დალეწა ქალაქის სიწმინდენი, ავლაბრის ხიდის ყურზედ მეჩეთი ააგო და დიდის ალაფით დაბრუნდა სპარსეთს და მოკვდა.

ლუარსაბმა შემოიკრიბა ჯარი და ყიზილბაშებს წაართო ტფილისი და გაამაგრა.

ახალი ყაენი შაჰთამაზ იდუმალ ყარაბაღს მოვიდა. მეფე არ ელოდა მისს შემოსევას. 1536 წელიწადი იყო. ლუარსაბს მოუკვდა მკირე წლოვანი ვაჟი. იმავე მწუხრს მეფედედოფალმა განსვენებულის გვამი წაასვენეს მცხეთას და დაფლეს სვეტიცხოველში. ღმერთმა იხსნა თვისი ცხებული: იმავე ღამის განთიადს ყაენი ტფილისში შემოიპარა. მას სურდა მეფისა და მის სახლობის შეპყრობა. გარნა მეფე რომ აქ არ დახვდა, ქალაქი გადასწვა. ციხის თავს გულბაადს შეეშინდა, ციხიდამ გადმოეშვა და ყაენთან მივიდა. მეციხოვნეთაც მას მიჰბაძეს, ხოლო ზოგნი გაიფანტ-გამოიფანტნენ. ყაენმა ყველას დაატევებინა ქრისტე და მაჰმადიან ჰყო, ციხეში შეაყენა თავისი რაზმი და ყარაბაღს წავიდა...

ამ ყოფაში იყო მონგოლ თემურლენგისაგან მრავალ-გზის აოხრებული და გადაბუგული საქართველო და ამისდა მიუხედავად მაინც მეფეებსა და კათალიკოზებს ფული არ აკლდათ. ქვემორე ამისა ვბეჭდავთ მცხეთის სვეტი-ცხოვლის ქონების ანგარიშს. ქაღალდი, რომელზედაც დაწერილია ეს საანგარიშო სიგელი 1546 წელს, მეტად დაზიანებულია, თუმცა მაინც სჩანს, რომ მცხეთას ვერცხლი და თეთრი (ვერცხლის ფული) ლიტრით ეწყავ და არ უთვლია.

...(თავი მოხეულია) *) სვეტისა ცხოვლისათა: ქორონიკონსა სლდ (1546 წ.) თებერვალს: ოთხსა ჩუენ ღუთივ გჳრგჳნოსანმან ლუარსაბ და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა მამათ მთავართა მთავარმან: ვქენით ანგარიში სამოციქულო კათოლიკე საყდრის განძისა: არის თვალითა ხატი მაცხოვრის: ხუთას ერთი თვალითა და მარგალიტითა შემკული ნაწილით სავსე: ...ისა ერთი ვერცხლით მოჭედილი; მაცხოვრის ხატი სამი ვერცხლით მოჭედილი; ყოვლად წმიდისა ხატი ერთი; ნათლის-მცემლისა ხატი ერრი ვერცხლის სერაბინი;:.. ცოტა ხატი ერთი ვერცხლით მოჭედილი; ცოტა ხატი ერთი მოჭედილი; თე(ოდორეს) ხატი ერთი; სამღრდელო მოძღურო ყელთსაკიდი მყარი ოქროს; ხატი ნაწილითა... ტითა შემკული ოქროს ჯაჭვითა და ჯაჭუზედა ერთი ოქროს ხატი არის თ.....ლ, ძიმედ ნაკერი თვალითა და მარგალიტითა შემკობილი; ერთი ბისონი მძიმე... და მარგალიტითა; ერთი ენქერი მძიმედ ნაკერი შემკული თვალითა და მარგალიტითა;... წესითა შემკლული (?) თვალითა და მარგალითა; ერთი ხარქაშად ნაკერი ორით... სტიხარი მძიმე ოქრო-ქსოვილი თეთრის ხამხის; ერთი თეთრი ხაველისა ოქრო...;.ბისონი ერთი ორის ჩარყაფის ბისონზედა მსხვილი მუშბახიანი ოქროს ღილი ოც... მუშაბახიანი; ოქროს ღილი თურამეტი ქარაის ბისონზედა მსხვილი მუშაბახიანი ვერცხლ...; მუშაბახიანი ოქროს ღილი ოცდაერთი; კვერთხი თევზის კბილისა მძიმედ ოქროთ.., და მარგალიტითა; ერთი სხვა სამუდამო ონფორი არის მომარგალიტებული; ქუდი ერთი... ელი თვალით და მარგალიტითა და ვერცხლის ჯაჭვითა; ერთი ნაკერი ონფორი სამი..,; სამკლავენი ერთი ოქროქსოვილი ბისონი თოთხმეტით ოქროს ღილითა; ერთი... ნაკერი ოლარი; ერთი ოქროქსოვილი სტიხარი; ერთი ვერცხლით მოჭედილი ყელსაკიდი ხატი,..; ნაკერი გინგილა; ერთი ნაკერი კონდაკის საჭირავი; ერთი ვერცხლის კონდაკის ღერი თავები.., ლი თვალითა; ერთი სხვა კონდაკი; ერთი მძიმედ ნაკერს ონფორზედა არის დიდროვანი მ(არგალიტი)... ცამეტი; ოქროს ბარძიმი ერთი; ოქროს თეფში ორი; ოქროს კამარა; ვერცხლის ბარძიმი: ოქროთ დაფერული მისით თავსაბურავითა; ერთი ვერცხლის ცოტა ბარძიმი... ვერცხლის თეფში; ორი ვერცხლის კამარა; ერთი ვერცხლის კოვზი; ორი ვერცხლისა ზედაშის სა...ლისა სადუღარი, ერთი ვერცხლის საცეცხლური; ერთი სინის საცეცხლური; ერთი მძიმედ... რქედი სამი ნაკერი გარდამოხსნა; ერთი ტრაპეზედა გარდასახურავი ხაველისა; ერთი ოქრ... კრეტსაბმელი; ერთი შვიდგანი; ქარაის ფარდაგი; ერთი სვეტისცხოვლისა ზედ გარდასახურავი;... ი: სამი ოქროქსოვილი დიბა; ორი ოქროქსოვილი ატლასი და ქარაია; შვიდი გაკვეთი... ხატის გარდასახურავი ხაველი; ერთი სერანგი, ერთი: ქამხა; ერთი მოჭედილი ოთხთავი და დავითი... ერთი თავი მოჭედილი ოთხთავი; ერთი მოჭედილი სახარება, ერთი ოთხთავი და...ად შეკერული; ორი სამოციქულო; ორი მარხვანი; ერთი ზადიკნი; ერთი სვინაქსარი; ორი...; ერთი პარაკლიტი წიგნი; ერთი

*) საეკკლ. მუზ. № 322.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ქედა,** (ქვედა აჭარა). წრეულს ჩვენში ზამთარი გასულ წლებზედ უფრო ნაკლებია, ასე რომ იანვრის თხუთმეტს ცოტა თოვლი მოვიდა, მაგრამ სამ დღეში სოფლები ისევ გაშრა. მაღალ ადგილებზედ არის თოვლი, მაგრამ იქაც წვიმა ადრე მოუღებს ბოლოს. თოვლის მაგიერ წვიმა უფრო გაბშირებულია: აგერ ათი-თხუთმეტი დღეა, რაც წვიმა მოდის. მთელი აჭარა გაჟღენთილია წყლით. სახელმწიფო გზებზედ ტალახ-ტლაპოს გამო ქვეითად გავლა შეუძლებელი შეიქნა, იმიტომ რომ ჯერ სახელმწიფო გზებზედ ქვის მოყრა ვეღარ მოასწრეს. მდინარეები ძლიერ ადიდებულია. თოვლი არ არის, მაგრამ სიცივე-კია. თებერვალი დადგა თუ არა, ჩიტებმა გაზაფხულის ჭიკჭიკი დაიწყეს. ვნახოთ ზამთრის ასე პატარაობით წრეულს როგორი მოსავალი იქნება.

რაც ჩვენში ახალი უფროსი მობრძანდა, მას აქეთ არაფერი უბედურება არ მომხდარა. უწინ ისე თვე არ გავიდოდა, რომ ქურდობა ან მკვლელობა არ მომხდარიყო. ხალხი ერთი მეორეს აღარ აწუხებს და მუშაობაში ატარებს დროს. ახალი უფროსი მშვიდობიანობას დაამყარებსო აჭარაში, ასე ჰგონია ყველას. სამართალს ისე ერთგულად, ისე რიგიანად სჭრის, რომ ადამიანს მოეწონება. ღარიბ ხალხს და წინა კაცებს უოკვლეთვის კანონიერად არიგებს— კარგად იყავითო, ტკბილად იცხოვრეთო. მთელი ხალხი უფროსის დიდად მადლობელია. ფირალების ფესვი ამოაგდო.

აგერ ერთი თვეა, სოფ. მაჭახელში რაღაცა ყელის ტკივილი გაჩნდა, მაგრამ ადგილობრივი ექიმი და ფერშალი მიეშველნენ და მალე ბოლო მოუღება ამ სენსა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

---

### მცირე შენიშვნა.

როგორც პეტერბურგიდგან სწერენ დეპეშით „ახალს მიმოხილვას“ (№: 5170), ხელმწიფე იმპერატორს კეთილ უნებებია და შეუწყნარებია უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სამრევლო ერთკლასიან სკოლებში სწავლა ორის წლის მაგიერ, როგორც ეს იყო აქამდის, სამს წელიწადს გრძელდებოდეს, ეს იქ, სადაც მოსწავლენი რუსების ბავშვებია, ხოლო, სადაც მოსწავლენი ადგილობრივ მკიდრთა ბავშვებია, იმ სკოლებში 4 წ. უნდა გრძელდებოდეს სწავლა. ვისაც ჩვენი სკოლით ვის გული შესტკივა, უეჭველია, სიამოვნებით წაიკითხავდა ამ დეპეშას. დღევანდელი ჩვენის სოფლის სკოლა ცუდადაა დაყენებული და ამის ერთი უმთავრესი მიზეზია ის გარემოება, რომ მოსწავლე მცირეხანსა რჩება სასწავლებელში—სულ სამ ოთხ ზამთარს. ამ მოკლე დროში რა უნდა შეითვისოს და შეისწავლოს მოსწავლემ? საქმე უფრო რთულდება და ძნელდება იმით, რომ ჩვენმა ბავშვებმა სამშობლო ენასთან ერთად სახელმწიფო ენაც უნდა შეისწავლონ და ნორჩი ბუნება ყმაწვილისა ვერც ერთს ითვისებს და ვერც მეორეს: თითქოს ტყუილად ეკარგება სკოლაში გატარებული დრო. მაგალითებით არ შევაწუხებთ მკითხველსამ ახალ განკარგულებით კი ერთკლასიანს სკოლაში ბავშვი რჩება სრულ ოთხ წელიწადსა და ეს ერთი მეტი წელიწადი ბევრს რასმეს შესძენს ბავშვს გონიერ და გამოცდილ მასწავლებლის ხელში. მაგრამ, მაგარი ის არის,—როგორ უნდა მოუაროს თანამედროვე საშუალო ტიპის მასწავლებელმა ოთხს განყოფილებას ერთად, რომელნიც აუცილებლად მოჰყვება ოთხის წლით კურსის განგრძობას? შეუძლიან ჩვენმა მასწავლებელმა ოთხს განყოფილებას ასწავლოს ნაყოფიერად? ჩვენა გვგონია, რომ არა. მართალია, უცხო ქვეყნებში, სადაც მასწავლებელნი დროის შესაფერად არიან თავისს საქმეში გაწვრთნილნი, მომზადებულნი და დახელოვნებულნი, სამს განყოფილებას კი არა, ოთხ-ხუთს განყოფილებას შვენივრად უვლიან და ასწავლიან. მაგრამ ჩვენში ჯერ ჯერობით საზოგადოდ შეუძლებელია მასწავლებელთა ჯეროვანად მოუმზადებლობისა გამო და ამიტომ არც სასურველია. ჩვენის ფიქრით, საჭიროა ისევ სამი განყოფილება დარჩეს, მხოლოდ სწავლა-კი ოთხ წელიწადს გრძელდებოდეს: ამისთვის საჭიროა სკოლა იბარებდეს ბავშვებს ყოველწელიწადს კია არა, არამედ ორ წელიწადში ერთხელ, რითაც ჩვენ შეგვიძლიან სწავლა განვაგრძოთ ოთხს წელიწადს, განყოფილება-კი სამი გვექმნება. ამასთანავე, რომ სკოლა ნაყოფიერი გამოდგეს, აუცილებლად საჭიროა, პირველს წელიწადს ბავშვებს ასწავლიდნენ საგნებს სამშობლო ენაზედ და მერე კი ცოტ-ცოტად სახელმწიფო ენაზედ გადადიოდნენ. საღმრთო სჯული, რა თქმა უნდა, სულ ქართულად უნდა ისწავლებოდეს. სახელმწიფო ენის შესწავლა უნდა იწყებოდეს მეორე წლიდგან და ისწავლებოდეს „დედა-ენის“ შემწეობით, ცნობიერად და არა მუნჯურად და სხვა. ამ რიგად მომართულს სასწავლებელში და გამოცდილ მასწავლებლის ხელში ბავშვები საკმაოდ იქმნებიან გავარჯიშებულნი როგორც სამშობლო ენის წერა-კითხვასა, აგრეთვე რუსულშიაც.

დროა, ჩვენმა საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება ამ საჭირ-ბოროტო საგანს!

ჰამუთ-ბეი

---

## რუსეთი

რამდენსამე კაცს განუზრახავს დააარსონ პეტერბურგში ესრედ წოდებული „პუშკინის სახლი“, სადაც გამართულ იქმნება შრომის სახლი განათლებულ ქალთა და კაცთათვის, წიგნთ-საცავი, სამკითხველო, სახალხო დარბაზი და თეატრი. საჭირო თანხა უკვე შეუკრებიათ ხელის მოწერით.

— პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესსორს ხოდსკის მთავრობამ ნება დართო გამოსცეს პეტერბურგში ახალი ჟურნალი, რომელსაც სახელად „Народное Хозяйство“ (სახალხო მეურნეობა) ეწოდება.

---

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთებში დაწვრილებითი ცნობებია ფელიქს ფორის გარდაცვალების შესახებ; აგრეთვე აღწერილია, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა პარიჟელებზედ ამ უეცარმა ამბავმა.

დიდი ხანია თურმე, რაც ფორს გულის სისუსტე ჰქონდა, მაგრამ არავის არ ეგონა, ასე ადრე თუ მოუსპობდა სიცოცხლეს ეს სენი. უკანასკნელ ჟამამდის ის ჩვეულებრივად ატარებდა დროს: მუშაობდა, სეირნობდა, თავისს დროზედ მადიანად შეექცეოდა საჭმელ-სასმელს, ტკბილად ეძინა და სხ. მაგრამ ხშირად-კი ეტყოდა თურმე ფორი თავისს მდივანს, ლე-გალს: „ფეხები მისუსტდება, ძლივ-ძლიობით ვდგავარ ფეხზედაო“. იმ დილით, რომელ დღესაც იგი გარდაიცვალა, ის თავმჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოში და ჩვეულებრივი გამომეტყველი სახე ჰქონდა. კრების გათავების შემდეგ, იმან სთხოვა ზღვათა მინისტრს ლოკრუას, ესა და ეს ქაღალდები გამომიგზავნეო. „4 საათზეო, ამბობს ლოკრუა, ქაღალდები გავუგზავნე ფორს ჩემის მდივნის ხელით, რომელმაც პირდაპირ პრეზიდენტს გადასცა ისინი. ფელიქს ფორმა წუნარად გადაათვალიერა ქაღალდები, უკანვე დამიბრუნა და,—შემდეგ გულხელ დაკრეფილი ვნახე იგიო“.

ფორის სახლობამ როცა მოიწადინა სულთ-მობრძავთან მღვდლის მიყვანა, წმ. მაგდალინის ეკკლესიაში გაჰგზავნეს კაცი, მაგრამ მღვდელი არ დახვდა იმ დროს იქ. მაშინ მოსამსახურეები აქეთ-აქეთ გაჰქციეს ქალაქში, იქნებ სადმე შეხვდეთ მღვდელსაო. ერთი მსახურთაგანი მართლაც შეხვდა ქუჩაზედ აბატს, რომელიც თავისს საქმეზედ მიდიოდა; შეაჩერა იგი და უთხრა: „პრეზიდენტი კვდება, მომყევით მეო“. აბატს რენოს სრულებითაც ეჭვი არ აუღია, ვისთან მიჰყვებოდა, ისე მივიდა ელისეს სასახლეში და წმ. საიდუმლო მიაღებინა ავადმყოფს. ამის შემდეგ წმ. მაგდალინის ეკკლესიის მღვდელიც მივიდა. 10 ნახევარზედ, როცა აღარავითარი იმედი არ იყო ავადმყოფის გადარჩენისა, სასახლეში მივიდა დიუპუი. იმაზედ ცოტა ადრე პრეზიდენტის უფროსი ქალი მივიდა თავისის ქმრით, მაგრამ მომაკვდავმა ვერ იცნო ისინი, თუმცა სული ჯერ კიდევ არ განშორებოდა ხორცს. თერთმეტის 10 წუთი იყო, როცა ფორმა დალია სული. თერთმეტის 15 წუთზედ პრეზიდენტის გარდაცვალება აცნობეს ტელეფონით პოლიციის პრეფექტს, მინისტრებს, დეპუტატთა პალატისა და სენატის პრეზიდენტებს და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. ფორის მეგობრები და მინისტრები გაეშურნენ ელისეს სასახლისაკენ. პირველად მისულთა შორის იყო ბარტუ, რომელიც ფორის საუკეთესო მეგობრად ითვლებოდა. ბევრს დეპუტატსა და სენატორს, ქუჩაში რომ გაიგონეს სამწუხარო ამბავი, არ სჯეროდათ, და ელისეს სასახლეში წავიდნენ ნამდვილის ამბის გასაგებათ. ქალაქში საყოველთაოდ ცნობილ შეიქნა პრეზიდენტის გარდაცვალება თერთმეტის ნახევარზე. ბულვარზედ, რესტორანებში, თეატრის კარებთან— ყველგან გაისმოდა: „ფელიქს ფორი გარდაიცვალაო“! პირველად არავის სჯეროდა ეს ამბავი, მაგრამ ხმა თანდათან ვრცელდებოდა და ყველასთვის ცხადი იყო, რომ პრეზიდენტი მართლა გარდაიცვალა. ხალხი გაფაცებით დაეძებდა სადმე გაზეთების საგანგებო დამატებას, მაგრამ არსად სჩანდა. ამ დროს ქუჩებში გაჩნდა ცხენოსან პოლიციელთა რამდენიმე რაზმი. ნაშუაღამევის პირველ საათზედ გამოვიდა საგანგებო დამატებითი ფურცლები გაზეთებისა. ერთად ერთი სადღეშო ბიური, რომელიც ღია იყო იმ ღამეს, ისე იყო დეპეშების მომტანი ხალხით სავსე, რომ კაცი სულს ვერ მოიბრუნებდა.

თითქმის ყველა გაზეთებმა ქებით მოიხსენიეს ფელიქს ფორი; განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდნენ მასს

---

თორმეტი თვე ორ წიგნად შეკრული; ორი ბუნებად მ... ულის: კანონი; ერთი სხვა რჯულის კანონი; ერთი ტიბიკონი; ერთი კიბე წიგნი; ერთი... ერთი გვერდნი(?); ერთი ნეტაფრასი (?); ერთი მაქსიმე წიგნი: ერთი ქართლის ცხოვრება; ერთი...; თი კურთხევანი; ორი მამასახლისობა; ერთი სტიდიერი; ერთი სხვა მამაცხორება; ერთი...; ერთი ხუთი თვე წიგნი; ერთი კიდევე სახარების თარგმანი; ერთი დავითნი; სამი დავითის...;...ტის ცხოველის საკითხავი; ორი ძეგლი; ერთი კიდევ მარტ-აპრილი წიგნი; ერთი კმაგვერდნი...; კონდაკი ოთხი; სხვა განძი ვერცხლისა ბარქაში [1]) ორმოცი; ვერცხლის სასანთლე ხუთი; ვერცხლის...; ერთი ვერცხლისა სურის სადგამი ნალბაქი; ერთი სხვა ვერცხლის სურა; ერთი კიდევე ვერცხლის სურა;.... ტაშტ-წუნწუმა; ერთი თავ-სარქულიანი ვერცხლის სანაწილე; ერთი სარქულიანი ვერცხლის საზედაშე...: სარქულიანი საწყლე ვერცხლისა, წუნწუმა; ერთი ვერცხლის ნავი: ორი ვერცხლის ჩარა; ერთი ბუ...; ერთი ბურსული თასი; ერთი დოსტაქანი; ორი დევატაფა; ერთი ვერცხლის ჯამი; ორი ვერცხლის....; ორყურიანი ვერცხლის დიდი ფეშხუმი; ერთი ოქროს ყავარჯნის ყელი; ერთი ექუს.. ოქროს კანდელი; ერთი ვერცხლის კანდელი; ორი კიდევე ვერცხლის კანდელი; ერთი ოქროს...; ოქროს ჯაჭვი; ვერცხლის ბეჭედი; ერთი ვერცხლის ჯაჭვითა; ცოტა ოქროს შუშის ნაკვე..;.. ლური; ორი თევზის კბილის ევლოგიის საჭრელი ჯაყვა; ერთი ვერცხლის ფარდი; ოთხი:... შტ....; არის ვერცხლი ლიტრა ნახევარი; თეთრი [2]) ლიტრა ორი და ჩარექი; პატრონის მეფის შემოწირული ვერცხლი ქალაქურით ლიტრითა: ლიტრა ჩარექი და მიტყალი (მისხალი?) ორმოცდაათი; თეთრი ლიტრა სამი; სამი... ჩარექი... ლის ნალენები ვერცხლი ქალაქურით ლიტრითა ლიტრა ერთი და მიტყალი ასო...;... ოსელი (შესამოსელი?) ათექუსმეტი კელი მისით იარაღითა; კონდაკს გარეთ სინის კომნი (ხომლი) ორი; სინის სა.... უზი; რკინის სკამი ერთი; სხვა წიგნის საკითხავთ რკინის სკამი ერთი: რკინის ფანარი სამი; სუ. ..რი ტახტზედა საფენი ხალიჩა ორი; კიდევე სადღესასწაულო წიგნი ერ... ის გიორგის ხატზედა ფლუსი ერთი (ხესულად ლუარსაბ).

უმეტესი ნაწილი აქ მოხსენებულ ძვირფას სამკაულისა მცხეთისათვის შეუწირავს კათალიკოზს მალაქიას.

აი მისი შეწირულობის სიგელიც:

ქ: [3]) სახელითა ყ˜დ სახიერისა ღ˜სა მამისა და ს˜ლსა წ˜სათა: მეოხებითა ყ˜დ წ˜სა ღ˜თის მშობელისათა ძლიერებითა ცხ˜ველს მყოფ˜ლისა და პატიოსნისა ჯუარისათა. შეწევნითა ყ˜თა ღ˜ისა წ˜თა ზეცისა და ქვეყანისათა:. ესე დაწერილი მოვაკსენე და შევსწირე: ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრესსა და უაღმატებულეს-უდიდებულესსა: წ˜ა კათოლიკე, სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისსა სალოცველსა და სახლსა ღ˜სა დბისსა: და მისს-შორის ღთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და წმიდა მყოფელსა:. ჩუენ ქრისტეს მიერ ქართლისა პატრიარქმან მალაქია მ˜ს ჟამსა, ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ პყრობად წ˜ისა ამის ტაძრისა:. შევსწირე და მოვაკსენე ჩემ-მიერ ნაღუაწი და ჩემითა ღონის ძიებითა მოგებული:. Ç (ერთი) ომფორი მძიმედ ნაკერი, შემკობილი თუალითა და მარგალიტითა:. Ç:.. ბისონი, იგიცა მძიმედ ნაკერი, შემკობილი თ˜ლითა და მარგალიტითა: Ç:. ენქერი, იგიცა მძიმედ შეკერული შემკობილი თ˜ლითა და მარგალიტითა:. Ç:. სამკლავენი, იგიცა მითვე წესითა ნაკერავი და შემკობილი თ˜ლითა და მარგალიტითა:. Ç:. სტიხარი, მძიმედ ოქრო-ქსოვილი თეთრისა ქამხისაჲ: Ç:. კვერთხი თევზის კბილისა, მძიმედ ოქროთა მოჭედილი შემკობილი თ˜ლითა და მარგალიტითა:. Ç:. დიდი ხატი ყ˜დ წ˜ისაჲ სრულიად ოქროთ-მოჭედილი შემკობილი ნაწილითა და თ˜ლითა და მარგალიტითა: მეორე ხატი მაცხოვრისაჲ ვეცხლითა მოჭედილი შემკობილი თ˜ლითა და მარგალიტითა: მესამე ხატი ყ˜დ წ˜ისავე ვეცხლითა მოჭედილი, უძეოდ გამოსახული შემკობილი თუალითა და მარგალიტითა:. მეოთხე ხატი ნათლის მცემლისაჲ ვეცხლითავე მოჭედილი შემკობილი თ˜ლითა და მარგალიტითა:. ორნი ხ˜ტნი წ˜თა მთავარ-ანგელოზთანი მიქელ და გაბრიელისნი ვეცხლითა მოჭედილნი შემკობილნი თ˜ლითა და მარგალიტითა:. ორნი ხატნი წ˜თა და ყ˜დ ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი ვეცხლითავე მოჭედილნი შემკობილნი თ˜ლითა და მარგალიტითა:. ამა ოთხთა ხატთა ვეცხლი ჩოლოყას შვილმან ბაადურ შემოსწირა და მე ჩემითა საფასოჲთა მოვჭედე და შევამკე:. კიდევე შევსწირე ს˜მღდლთ მოძღვრაჲ ყელისაკიდი ხატი ოქროჲსაჲ ნაწილიანი ძვირფასითა თ˜ლითა და მარგალიტითა შემკობილი ოქროჲსა ჯაჭვითურთ:; სხუაჲ ცოტა (პატარა) ხატი ოქროჲსავე. მთავარ-ანგელოზისა მიქელისი:. ერთი დიდი ბეჭედი ოქროჲსა ოქროჯაჭვანი:. მეორე ცოტა ბეჭედი ოქროჲსავე თლიანი:. ერთი დიდი ბეჭედი ვეცხლისა ვეცხლის ჯაჭვიანი:. ერთი დიდი ვეცხლის დევა ტაფა, მეორე მისი შედევი თასი ვეცხლისავე:. ესე ჩემ მ˜ერ მ˜ერ (გამეორებულია „მიერ“) მცირედი შესაწირავი ვინცა და რამანცა გუარმ˜ნ კაცმ˜ნ გამოახუას საყდარსა მცხეთისა წყეულ იყავნ ღ˜ისა პირითა:. კიდევე შევსწირე ერთი ქალალჯის მეტაფრასი და ერთი ძლისპირი ეტრატისა:. სამი ბედაური ჰკი ცხენი მისითა ნაშენებითურთ: კვცები გაისყიდოდეს: მისი ნავაჭრი სასაყდროდ დაიდებოდეს:. კიდევე შემოვსწირე ერთი კონდაკის ღერი ვეცხლისაჲ ორგნით თავი ოქროჲსაჲ მძიმედ მოთლული პატიოსნითა თუალებითა:. ოთხი ჩინურის თეფში:. და ოთხი ჯამი:. კიდევე ერთი თეფში და ერთი ჯამი სხუაჲ ჩინურისვე: ერთი ვეცხლის სურა, ერთი ვეცხლის მაშრაპა, ერთი მძიმე ოქროქსოვილი ხაველი, ექუსი ორხაო, ათი ქუაბი სხვლ-წურილი, ორმოცდა-ათი თეფში სპილენძისაჲ:. სამი ზედადგარი, ორი ფანარი, ცხრა ჯამი სპილენძისვე, ერთი ვეცხლის ჯაჭვ გრძელი: საყდრის კლიტეთა მკარიდლივ დასაკიდი არის ნაკუწთი ასოც-და-ერთი თავითურთ, ოთხი ფური კამბეჩი კბოიანი, და ერთი ბულა კამბეჩი, კიდევე შევსწირე ერთი მთავარ ანგელოზის ხატი. პერილევტსა თუალ ზედა გამოჭრილი: ერთი ოქროქსოილი ქარვის ბისონი, მეფისა ლეონისაგან ბოძებ˜ლი: ერთი მუშაბახიანი სპილენძის მანკანა: ერთი ხალიჩა საკურთხევლის საყდარზედა ზედა-დასაფენელი: ერთი ორხაო გარეთსა საყდარ ზედა დასაფენელი: ერთი სეფისკუერის დასაჭრელი დანაკი თევზის კბილის ტარითა, ოქრო ზარნიშნიანი, კიდევე ერთი დიდი დევა ტაფა, კიდევე ერთი ვეცხლის აბრაგი (წუნწუმა) საზედაშე, ორას ოცი სული ცხუარი, რვა ჩინურის ჯამი *).

სიგელში მალაქია იხსენიებს მეფე ლეონს (1520—1574 წ). ამ ლეონსა და ლუარსაბ შორის ხვდება კათალიკოზობა მალაქიასი. მისი შეწირულობა მცხეთისათვის უნდა ყოფილიყო ლუარსაბის მიერ სვეტი-ცხოვლის ქონების ანგარიშის შედგენის წინად, რადგან ამ ანგარიშში მოხსენებულია მალაქიას შეწირული ხატები და სხ. სამკაული.

მ. ჯანაშვილი

---

[1]) დიდი თეფში.

[2]) ვერცხლის ფული.

[3]) ხუცურ ნუსხით, ლამაზის ხელით (საეკკლ. მუზ. № 16).

*) გუჯრის შუაგულსა და კიდევ ბოლო სტრიქონებ შუა გამოსახულია მაკურთხეველი ხელი და მის წინ ხვეულად სწერია „კლ˜ზი მალაქია“.

ზომიერს ხასიათს და კანონიერს საქციელს.

—

**სერბია.** რადიკალური გაზეთი „ნოვი ოდიეკი“ საშინლად ჰკიცხავს გეორგიევიჩის სამინისტროს იმ განკარგულებისათვის, რომლითაც ამის შემდეგ სოფლის სკოლები და მასწავლებლები მთავრობისაგან არავითარ დახმარებას აღარ მიიღებენ, ისევ სოფლებმა უნდა შეინახოს ისინი. გაზეთი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ეს განკარგულება სულ ერთიან დასცემს პირველ დაწყებითი განათლების საქმეს სერბიაში და მასწავლებლებს უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდებს ქონებრივად. იგივე გაზეთი მთავრობის მეორე განკარგულებასაც ჰკიცხავს, რომლითაც უკრძალავს სოფლის მასწავლებლებს ამორჩეულ იქმნან რაიმე თანამდებობაზედ სოფლის გამგეობაში. ბევრს ადგილას მხოლოდ მასწავლებლები წარმოადგენენ მკვიდრთა განათლებულს ნაწილს და იმათ თუ ადგილობრივ გამგეობის წევრობის უფლება მოესპოთ, ხეირი არ დაეყრებათ სოფლებსაო, ამბობს გაზეთი, რადგან მაშინ წერა-კითხვის უცოდინარნი დაიჭერენ ადგილებს გამგეობაში და მასწავლებლებს სახელი გაუტყდებათ ხალხის თვალშიო.

## დამაკვირდი

ცოდვასა უბადრუკობა, გულისთქმა ვნება, ეშმაკისა ღრჭენა, ტარტაროზისა მატლი, უძილი წამლიანი, ბნელი, გარესკნელი განუნათლებელი,—ესე უფალი განმაშორე, ღმერთო.

ლევან შანავაზის ძე

* * *

ისტორიას ეკუთვნიან მხოლოდ ის ერნი, რომელთა ცხოვრებაში ჩნდება თვით-შემეცნება.

გეორგ ვებერი

* * *

საპატიო კაცნო, აზნაურშვილნო და მოხელენო! მღვიძარე იყვენით და თქვენნი მორჩილნიც განაღვიძეთ.

ერეკლე II

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკაში ეხლა ამტკიცებენ, რომ შეერთებულ შტატების პრეზიდენტი მაკ-კინლეი ერთხელ დოღში იღებდა მონაწილეობას და ფულიც აიღო იმ ცხენის პატრონისაგან, რომელმაც დოღში გაიმარჯვა.

ვილაც მისტერ ბოიზე, ოგაიოს მცხოვრები, ამბობს, რომ მაკ-კინლეიმ, როდესაც სულ თოთხმეტის წლისა იყო, იუნგეიტოინის დოღში გაიმარჯვაო.

იმ დროს ჯონ ბოიზე ცხენებსა ყიდულობდა და ჰყიდდა და ამ დროს ჰყავდა ერთი ცხენი, რომელიც დოღში უნდა გაეყვანა.

ჯონ ბოიზემ მისცა ერთი დოლარი (2 მანათი) მაკ-კინლეის, ჩემ ცხენზე შეჯექი და თუ გაიმარჯვებ, კიდევ ხუთს დოლლარს მოგცემო.

მაკ-კინლეის ძლიერ გაეხარდა ესა და მხოლოდ ისა სთქვა, ჯერ მამა-ჩემს დავეკითხებიო და მამამაც ნება დართო.

ახალგაზდა მაკ-კინლეი შეჯდა ცხენზე და დოღში გაიმარჯვა კიდეც. ჯონ ბოიზე ამტკიცებს, რომ მაკ-კინლეის კიდევ სხვა დროსაც ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა დოღშიო.

* * *

ვენაში ეხლა ბევრსა ლაპარაკობენ ერთის ქალის გრაფის ბასემენის შესახებ, რომელიც ეკუთვნის საფრანგეთის საუკეთესო გვარს. ეს ქალი თურმე რამდენიმე თვეა, რაც ავსტრიის სატახტო ქალაქში გუვერნანტკად არის.

გრაფის ბასემენის მეუღლე შვილია ერთის ვაჭრისა სახელად სტევერდისა, რომელიც ძლიერ გამდიდრდა ბოსტონში, მილიონების პატრონი შეიქმნა და ერთადერთი სურვილი-ღა ჰქონდა, ჩემი ქალი ევროპიელ კეთილ-შობილ კაცს მივათხოვოო.

სტევარდმა არაფერი უთხრა თავისს ქალს, მიჰმართა საფრანგეთისა და ინგლისის სხვა-და-სხვა კანტორებს და ბოლოს როგორც იყო თვისი ქალი მიათხოვა გრაფს ბასემენს.

ქორწილის შემდეგ, რომელიც დიდის ამბით იყო გადახდილი, ახალგაზდა მეუღლემ შეიტყო, რომ ჩემმა ქმარმა სიყვარულით-კი არ შემირთო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მამაჩემმა იმისი დიდ-ძალი ვალი გადიხადა და გარდა ამისა დიდი მზითევიც მისცაო. ახალგაზდა ცოლმა გამოუცხადა ქმარს, რა-კი მხოლოდ ფულის გულისათვის შემირთე, შენთან ველარ ვიცხოვრებო.

ვიდრე გაოცებული ქმარი და მამა ქალს დაამშვიდებდნენ, იგი ევროპაში წავიდა, მივიდა ვენაში და იქ გუვერნანტკის ადგილი იშოვნა. ეხლა ქალი თურმე არხეინად სცხოვრობს და ამბობს, არც მამაჩემთან დავბრუნდები, რომელმაც გრაფს მიმყიდა და არც ჩემ ქმართან, რომელმაც ფულის გულისათვის შემირთოვო.

# დეპეშა

15 თებერვალი

**პეკინი.** ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს რკინის გზათა დირექტორად ნამყოფის ხუ-იუ-ფენის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდების გარჩევა, ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. დღითი-დღე ვრცელდება სიძულვილი უცხო-ქვეყნელთა მიმართ. იმ რეაქციონულ გავლენას, რომელსაც ჩან-ი იჩენს, ისე უყურებენ, როგორც ინგლისის ელჩის წინააღმდეგ მოქმედებას. ამ ელჩის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევენ. ზოგიერთმა მდიდარმა გერმანელმა ვაჭრებმა გერმანიის ელჩს მიართვეს პეტიცია, რომელშიაც ამბობენ, რომ საჭიროა ხუ-იუ-ფენი ხელ-ახლა იქმნას დანიშნული, რადგანაც, ვშიშობთ, ჩან-ის მოქმედებამ ვაჭრობას ზარალი არ მოუტანოსო.

**პარიჟი.** სენატი შეუდგა იმ პროექტის გარჩევას, რომლის ძალითაც დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა გარჩევის ნება არ უნდა მიეცეს საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას. მაქსიმ ლეკონტმა განაცხადა, რომ პროექტი კონსტიტუციის წინააღმდეგია, იგი არღვევს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასაო.

**მადრიდი.** „რეფორმა“ აცხადებს, რომ უცხო სახელმწიფოთა ზღვაოსანნი მანილიაში გადასხეს თავიანთის თანამემამულეთა დასაცველადო.

**პარიჟი.** გამომძიებელმა პასკამ, რომელსაც მინდობილი აქვს დერულედისა და გაბერის საქმის გამოძიება, დღეს ჩვენება ჩამოართვა გენერალ როჟეს.

სენატი. შეეხო რა ბორეპერის ბრალდებათ, ლეკონტმა სთქვა, რომ მაზოს გამოძიების შედეგი სასარგებლო გამოდგა სასამართლოს ბრალდებულ წევრებისათვისაო. ორატორმა უსაყვედურა მაზოს. ლეკონტმა დაუმატა, რომ ეს გამოძიება—აწინდელის დროის სამარცხვინო საქციელად ჩაითვლებაო. დასასრულ ორატორმა სთქვა, რომ მომავალი განაჩენი სასურველ მშვიდობიანობას ვერ დაამყარებსო (აქა-იქ ტაშის ცემა გაისმა). მომხსენებელი ბისსეილი პროექტს იცავდა.

**გონკონგი.** ფილიპინების მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, ფილიპინელები დაუმტკიცებენ მთელ განათლებულ ქვეყანას, რომ ისინი მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლონ ამერიკელების წინააღმდეგ. დედაკაცებიც კი, თუ საჭირო იქმნება, მონაწილეობას მიიღებენ დამოუკიდებლობისათვის ომშიო.

**ბუდაპეშტი.** ოფიციალურ გაზეთის განსაკუთრებულ დამატებაში გამოქვეყნებულია იმპერატორის რესკრიპტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეწყნარებულ იქმნა მთელის კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომის თხოვნაო. ამასთან იმპერატორი მადლობას უცხადებს კაბინეტს შრომისათვის. განსაკუთრებულის რესკრიპტით ებოძა ბანფის ორდენის წმ. სტეფანეს ნიშნები. გამოქვეყნებულია, რომ მინისტრი ერდელი, პერგელი, ბარონ დანიელი დათხოვნილ იქმნენ და კოლომან სელლი დანიშნულ იქმნა მინისტრ პრეზიდენტად და დროებით შინაგან საქმეთა მინისტრად. ხელ-ახლა დანიშნულ იქმნენ მინისტრებად: ფეიერვარი, ლუკაჩი, ვლასიჩი, დარანიი, ეისი, სეჩენიი. ახალი მინისტრები: სტატსსეკრეტარი პლოს—სჯულის საქმეთა მინისტრად და დეპუტატი გეჩედიუს—ვაჭრობის მინისტრად. ლუკაჩს ებოძა ორდენი ლეოპოლდის 1 ხარისხისა.

16 თებერვალი

**პეტერბურგი.** შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებული კომისია აცხადებს, რომ ქალაქ ჯედდაში, გეჯასში შავი ჭირი გაჩენილა.

**პარიჟი.** სენატი. ბისეილი ამბობს, რომ განსახილველ კანონ-პროექტს არ ეწოდება გარემოებათა მიერ გამოწვეულ კანონის სახელი. ეს კანონი იქამდე მიიყვანს საქმეს, რომ იმ მართლ-მსაჯულების ადგილის, რომელსაც ყველა სცემს პატივს, დაიჭერს საეჭვო მართლ-მსაჯულება. (ტაშის ცემა). ჟირო წინააღმდეგია პროექტისა. ლამარზელი ამტკიცებს, რომ მაზოს მიერ წარმოდგენილ მოსაზრებათა გამო საჭირო პროექტის შეწყნარება. ბერანჟემ განაცხადა, რომ არასოდეს არ მივემხრობი იმ პროექტს, რომელიც არღვევს 1879 წლის პრინციპს. ორატორი ამბობს, მე ჩემი აზრი არა მაქვს შედგენილი დრეიფუსის საქმეზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს საქმე ხელმეორედ უნდა იქნეს განხილულიო. ორატორი ჰკიცხავს მთავრობას იმის გამო, რომ მან გამოძიება ჩააბარა მაზოს და ჰკიცხავს ბორეპერს. ბერანჟე ამტკიცებს, რომ ჯარი მიყვარს, მაგრამ ჯარის ზოგიერთმა უფროსებმა დანაშაული ჩაიდინესო. ბერანჟე ამბობს, რომ ჯარი ცალკე უნდა იყოს იმ ამბებისაგან, რომელიც ეხლა ხდებაო. ფრეისინე ამის წინააღმდეგია. იგი ამტკიცებს, რომ ჯარი ერთგულია კანონისა, წესიერებისა და თავისის მოვალეობისა. ეჭვს გარეშეა, რომ ჯარი ერთგულია თვისის მოვალეობისა და ეს ერთგულება არაოდეს არ შერცხებულა. (ტაშის ცემა) ბერანჟემ უპასუხა, ფიქრადაც არა მქონია ჯარის შეურაცხებაო. კრება ხვალისათვის გადიდო.

**პარიჟი.** მონარქისტების კომიტეტის გაჩხრეკის დროს იპოვნეს სურათები ჰერცოგის ორლეანელისა, მიწერ-მოწერა პროვინციელ კომიტეტებთან და სამფეროვანი დროშა სუმბულით შემკული.

**პეკინი.** 25 თებერვალს რამდენსამე გერმანელს ტიანძინში შეურაცხება მიაყენეს და იძულებულ იყვნენ ვიწრო ქუჩებში დამალულიყვნენ.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღე ამას წინად ქ-ნ მარიამ მათიკაშვილისაგან, მის მიერ შეკრებილი ს. სარაჯიშვილში, 50 მან. დემეტრეშვილის ობლების სასარგებლოდ. რადგან ეს ობლები არ გამოცხადდნენ აქამდე ამ ფულის მისაღებად და რედაქციამაც ვერ იპოვნა მათ მიერ ვერ დასახელებულს ბინაზედ, ამიტომ ეს ფული შემომწირველთა სურვილის თანახმად ასე განაწილდა: 25 მან. მიეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება“-ს ერეკლე მეფის ფონდის სასარგებლოდ და 25 მანეთი—მცხეთის ტაძრის განმაახლებელს კომიტეტს.

## წერილი რედაქციის მიმართ

სოფ. საბუის მცხოვრებთა და ჩემს მაგიერ გულითადს მადლობას ვუძღვნი ტფილისის დედათა ინსტიტუტის სამღვრთო სჯულის მასწავლებელს, დეკანოზს მამა პეტრე კონჩოშვილს, რომელმაც შემოსწირა სოფლის საბუის იოანნე-ნათლისმცემლის ეკკლესიას ვერცხლის ნივთები, ოქროში დაფერილი, თვრამეტ თუმნად ღირებული.

ს. საბუის მღ. დავით გოგიაშვილი


# განცხადებანი

## ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.

ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567. (20—3—11).

## წყალ-წმიდის ძმობისაგან.

წყალ-წმიდის სამრეწველო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტებით, ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. მსურველთ შეუძლიანთ (კერძო კაცებს) ისწავლონ უსასყიდლოდ. რაც შეეხება ხარჯსა და ბინას, სკოლის მმართველი მისცემს, შეძლებისა დაგვარად, შეღავათით ბინასა დ ხარჯს, თუ ცოტას იმუშავებს, ან ფულად.

## თესლეულობათა დეპო

გ. გ. ლარშესი

(არსებობს 1872 წლიდგან)

მადათოვის კუნძულზედ, მაღაზია № 47.

## მიღებულია ახალი თესლეულობა

საბოსტნე, სხვა-და-სხვა ყვავილებისა და ბალახეულობათა. პრეისკურანტი მსურველს უსასყიდლოთ გაეგზავნება. (10—22—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შემდგარი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლ-მადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^1/_2$ თაბახს და ჰღირს

## ერთი მანათი.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაშია. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი სამი შაური. (10—9)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16 го Февраля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე